



5255/3-98/22 2 10062022

5255/3-98/22

10-06-2022

საქართველოს ფინანსთა მინისტრს

ბატონ ლაშა ხუციშვილს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით.

2022 წლის 14 აპრილს მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის დადგენილება N 201 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. აღნიშნული დადგენილებით ზოგ შემთხვევაში გაიზარდა შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასური, ხოლო ზოგ შემთხვევაში კი საერთოდაც ახალი საფასური იქნა დაწესებული.

1. რამ განაპირობა დადგენილი საფასურის ზრდა ან/და ახალი საფასურის შემოღება?

2. რა მოცულობის დამატებითი საფასურის გადახდა მოუწევთ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ყოველწლიურად, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 აპრილის დადგენილება N 201-ის გამო? (წინა წლების მონაცემების ანალიზიდან გამომდინარე)

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
დავით უსუფაშვილი



5256/3-98/22 2 10062022

5256/3-98/22

10-06-2022

საქართველოს პრემიერ-მინისტრს

ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით.

2022 წლის 14 აპრილს მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის დადგენილება N 201 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. აღნიშნული დადგენილებით ზოგ შემთხვევაში გაიზარდა შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასური, ხოლო ზოგ შემთხვევაში კი საერთოდაც ახალი საფასური იქნა დაწესებული.

1. რამ განაპირობა დადგენილი საფასურის ზრდა ან/და ახალი საფასურის შემოღება?

2. რა მოცულობის დამატებითი საფასურის გადახდა მოუწევთ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ყოველწლიურად, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 აპრილის დადგენილება N 201-ის გამო? (წინა წლების მონაცემების ანალიზიდან გამომდინარე)

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
დავით უსუფაშვილი